მოდული 10

ძალადობრივ ექსტრემიზმზე რეაგირების მცდელობების მონიტორინგი და შეფასება

ადაპტირებულია საქართველოსთვის

Hedayah countering violent extremism

SEARCH FOR COMMON GROUND

GCSD

რომელია მონიტორინგისა და შეფასების **კომპონენტები** და რატომ არის ისინი მნიშვნელოვანი პროგრამის **შემუშავებისთვის**?

- "მონიტორინგი - მონაცემების შეგროვების პროცესი სრული პროგრამის განმავლობაში, აღნიშნული პროცესის მანძილზე მაჩვენებლების შესაფასებლად და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებების განსახორციელებლად.
- შეფასება - პროგრამის სისტემატიური შეფასება, მისი გავლენისა და ეფექტიანობის განსაზღვრის ნიშნულების, სტანდარტების და მიზნების საფუძველზე."

კრისტინა მატეი და სარა ცაიგერი, „FRAMEWORK FOR COUNTERING VIOLENT EXTREMISM (CVE) PROGRAMS: PRACTICAL GUIDANCE TO DESIGN, MONITORING, MEASUREMENT AND EVALUATION", „HEDAYAH"-ს ცენტრი. ამ მოდულში წარმოდგენილი ყველა განმარტება მოყვანილია ან ადაპტირებულია მითითებული პუბლიკაციიდან.

ეთანხმებით თუ არა შემდეგ განცხადებას?

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მცდელობების მონიტორინგი და შეფასება საკმარისი აღმოჩნდა იმის გასაგებად, თუ რა მუშაობს ეფექტიანად ჩემს გარემოში.

რამდენად **რთულია** ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამის **მონიტორინგი** და **შეფასება**?

- მონიტორინგი და შეფასება საკმაოდ ძვირადღირებულ ღონისძიებებს წარმოადგენს.
- ამასთან, მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს ტექნიკური ხასიათის ღონისძიებებს და მოითხოვს სათანადო სწავლებასა და უნარებს.
- პროგრამის გავლენის შედეგები შესაძლოა არ იყოს თვალსაჩინო ხანმოკლე პერიოდში.
- პროგრამებს ყოველთვის არ მოიხსენიებენ „ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების“ სახელწოდებით.
- პროგრამებს ხშირად აქვს ბევრი შუალედური შედეგი, ეს ართულებს კონკრეტული შუალედური შედეგის დაკავშირებას კონკრეტულ საბოლოო შედეგთან და გავლენასთან.
- განსაკუთრებით რთულია ონლაინ-აქტივობების მონიტორინგი და შეფასება, როდესაც პროგრამა მიმდინარეობს ვირტუალურ რეჟიმში.
- გარეშე ფაქტორები აგრეთვე გავლენას ახდენს პროგრამის საბოლოო შედეგებსა და გავლენაზე.
- ამასთან ერთად, ცვლილებები ატარებს დინამიურ ხასიათს და ძალიან იშვიათად ვითარდება სწორხაზოვნად. ეს კი შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მონიტორინგის ინსტრუმენტებისა და ლოგიკური მოდელების უმრავლესობასთან.
- პროგრამის ცვლილების შემთხვევაში, მისი მონიტორინგი და შეფასება შეიძლება არ იყო მოქნილი.
- ქცევისა და განწყობის ცვლილებების გაზომვა მარტივი არაა.
- ძალადობრივი ექსტრემიზმი შედარებით იშვიათად გვხვდება, შესაბამისად, რთულია ცვლილებებზე დაკვირვება.

ჩვენ უნდა **გავითვალისწინოთ** მონიტორინგის და შეფასების **პროცესები** პროგრამაში შემუშავების ადრეული ეტაპიდანვე.

მონიტორინგისა და შეფასების **სტრუქტურის შექმნა** ითვალისწინებს შემდეგ ელემენტებს:

- თეორიის ფორმულირება იმის შესახებ, თუ როგორ გამოიწვევს პროექტი, პროგრამა ან პოლიტიკა პოზიტიურ ცვლილებებს (რასაც ეწოდება „ცვლილებების თეორია“),
- სათანადო ამოცანების, მიზნების და აქტივობების განსაზღვრა, შემსრულებლების მიერ დასახული მიზნების მიღწევისა და ღონისძიებების შესრულების შეფასება,
- მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების დროისა და ფორმის განსაზღვრა,
- და მონიტორინგისა და შეფასებისთვის საჭირო რესურსების გამოყოფა.

ცვლილებების თეორია

ღონისძიებებიდან წინასწარ განსაზღვრულ, შუალედურ შედეგებამდე, შემდგომ -საბოლოო შედეგებამდე და, ბოლოს, დაგეგმილ გავლენამდე არსებული მიზეზშედეგობრივი კავშირების განმარტება.

ცვლილებების თეორიის **მაგალითი**

- თუ რისკის წინაშე მყოფი [მოწყვლადი] ახალგაზრდები ჩათვლიან, რომ მათ გააჩნიათ საკმარისი უფლებამოსილება და შესაძლებლობა, შეცვალონ საკუთარი საზოგდოება მშვიდობიანი მექანიზმებით, მაშინ ისინი ნაკლებად იქნებიან მიდრეკილნი ძალადობრივი ექსტრემიზმის მხარდაჭერისკენ და/ან მასში ჩართვისკენ.
- თუ განსხვავებული ჯგუფის წევრები ისარგებლებენ საკუთარი შეხედულებების და სამომავლო ურთიერთობების სტრატეგიების ერთმანეთთან განხილვის შესაძლებლობით, [მაშინ] ისინი უფრო ტოლერანტული იქნებიან ერთმანეთის მიმართ და ნაკლებად დაუჭერენ მხარს ძალადობრივ ექსტრემიზმს, სხვა იდენტობის ჯგუფებთან შედარებით უპირატესობის მოპოვების მიზნით.

აღნიშნული ცვლილებების თეორიები დამახასიათებელი ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამებისთვის და შეფასებულია მშვიდობისმყოფელთა ალიანსის მიერ ნაშრომში „PEACEBUILDING APPROACHES TO PREVENTING AND COUNTERING VIOLENT EXTREMISM - ASSESSING THE EVIDENCE FOR KEY THEORIES OF CHANGE“.

შუალედური შედეგები

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების ან გაწეული მომსახურების გაზომვადი პროდუქტი (როგორც წესი, ალრიცხული რაოდენობრივი მონაცემების სახით), რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, ფიქსირდება განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობის მიხედვით.

შუალედური შედეგების მაგალითებია:

- მოწყვლადი ახალგაზრდების მიმართ გაწეული კონსულტაციები და ჩატარებული სწავლება;
- ადგილობრივი ინიციატივების დონეზე განხორციელებული პროექტები, შესაბამისი დაფინანსებითა და ტექნიკური მხარდაჭერით;
- საინფორმაციო კამპანიის მომზადება თემის ლიდერებისათვის, რადიკალიზაციის პრევენციის მიზნით.

საბოლოო შედეგები

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების ან გაწეული მომსახურების საბოლოო შედეგი (როგორც წესი, აღრიცხული ხარისხობრივი გამოხატულების სახით), რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, გამოიხატება ქცევის ან დამოკიდებულების ცვლილებებით.

<u>საბოლოო შედეგები შესაძლოა იყოს დაგეგმილი ან დაუგეგმავი.</u>

დაგეგმილი საბოლოო შედეგების მაგალითებია:

- ძალადობრივ ექსტრემისტულ ჯგუფებს ჩამოშორებული წევრები 6-თვიანი მხარდაჭერის პროგრამის შემდეგ აღარ უბრუნდებიან ჯგუფს;
- საზოგადოება სულ უფრო მეტად ენდობა ადგილობრივ მთავრობას და სჯერა, რომ იგი იცავს მათ ინტერესებს;
- ოჯახის წევრები, რომლებიც შეშფოთებულნი არიან ნათესავის პოტენციური რადიკალიზაციით, ითხოვენ დახმარებას.

გავლენა

გაზომვადი ეფექტი ან ცვლილება, რომელსაც პროგრამა ახდენს სამიზნე მოსახლეობაზე (შეიძლება იყოს დაგეგმილი ან დაუგეგმავი, პირდაპირი ან არაპირდაპირი).

შეიძლება განისაზღვროს დონორების მიერ.

რომელი ტერმინის გამოყენებას ისურვებდით ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამის ან პოლიტიკის გავლენის ამსახველ განცხადებაში?

როგორ ვახდენთ აღნიშნული ცვლილებების და ეფექტების გაზომვას?

მაჩვენებლები - ცვლილებების ტიპებისა და პროცესების გაზომვა, როგორიცაა შეხედულებები, ქცევები და ურთიერთობები.

არსებობს სხვადასხვა ტიპის **მაჩვენებლები**:

- ეფექტიანობის მაჩვენებლებით იზომება პროგრამის აღსრულება დაგეგმილ შედეგებსა და მიზნებთან მიმართებით.
- პროცესის მაჩვენებლები აფასებს ცვლილების პროცესის ხარისხს და არა მოქმედების შედეგებს.
- კონტექსტური მაჩვენებლების დახმარებით აკვირდებიან იმ გარემოში მომხდარ ძირეულ ცვლილებებს, სადაც ხორციელდება პროექტი. აღნიშნული ცვლილებები უკავშირდება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების დინამიკას, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს პროექტის ეფექტიანობაზე ან გამოავლინოს ახალი შესაძლებლობები.
- არაპირდაპირი მაჩვენებლები შეისწავლიან შესაბამის (თუნდაც არაპირდაპირი ხასიათის) ნიშნებს, რომლებიც მიანიშნებს, ჰქონდა თუ არა ადგილი კომპლექსურ ან რთულად გასაზომ ცვლილებებს.

რა ცვლილებების **დანახვა** გსურთ?

პარტნიორი ორგანიზაციები

პროგრამის ბენეფიციარები

თქვენი გავლენა

დაფიქრდით, რა გავლენის მოხდენა გსურთ ძალადობრივ ექსტრემიზმზე

სისტემა

პროგრამის პერსონალი

როგორ გარდაიქმნება თქვენი **გავლენის** სქემა ცვლილებების **თეორიად**?

ცვლილებების თეორია

ღონისძიებებიდან წინასწარ განსაზღვრულ, შუალედურ შედეგებამდე, შემდგომ - საბოლოო შედეგებამდე და, ბოლოს, დაგეგმილ გავლენამდე არსებული მიზეზშედეგობრივი კავშირების განმარტება.



ძალადობრივ ექსტრემიზმთან **გამკლავების** პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების მოწინავე **მეთოდები**:

- დარწმუნდით, რომ პროგრამების მონიტორინგი და შეფასება იყოს:
  - დაფუძნებული თვალსაჩინო მიზნებზე, პრაქტიკული, მიღწევადი და სარწმუნო.
- ღონისძიებების შემუშავების პროცესი დაიწყეთ საზოგადოების საჭიროებების და გარემოს განსაზღვრით.
- სათანადო ყურადღება დაუთმეთ კონფლიქტს და ყველა დონეზე გამოიყენეთ „ზიანის მიუყენებლობის“ (DO NO HARM) მიდგომა.
- ჩართეთ გენდერის საკითხი მონიტორინგისა და შეფასების თითოეულ ასპექტში.
- მხედველობაში მიიღეთ მოქნილობის პრინციპი, რაც მოგცემთ ახალი შესაძლებლობების გამოყენების ან თქვენი სამუშაოს ადაპტირების შესაძლებლობას, რისკების თავიდან აცილების მიზნით.
- მკაფიოდ ჩამოაყალიბეთ თქვენი ცვლილებების თეორია და ხშირად გადახედეთ მას იმისათვის, რომ შეინარჩუნოთ ყურადღება პროგრამის მიზნებზე.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან **გამკლავების** პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების მოწინავე **მეთოდები**:

- შეფასებები უნდა ასახავდეს, კავშირშია თუ არა ისინი ერთანეთთან, ცვლილებების თეორიით გათვალისწინებული გზით.
- მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ჩართეთ ადგილობრივი მკვლევრები და კვლევითი ორგანიზაციები, რომლებიც კარგად იცნობენ გარემოს, საუბრობენ ადგილობრივ ენაზე და უკეთესი კომუნიკაცია აქვთ მონაწილეებსა და პარტნიორებთან, აგრეთვე კარგად ერკვევიან ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში.
- დაიცავით მონიტორინგისა და შეფასების ღონისძიებების შედეგად თქვენს მიერ მოპოვებული მონაცემები.
- პროცესის შემუშავებისას ჩართეთ ხელისუფლების სტრუქტურები, ადგილობრივი მკვლევრები და პროგრამის პარტნიორები.
- კვლევის შედეგები გაუზიარეთ სხვებს, რათა დაეხმაროთ მათ იმის გააზრებაში, თუ რა მუშაობს კარგად და რა არ მუშაობს მოცემულ გარემოში.

შეჯამება

- მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს ეფექტიანი მიდგომების განსაზღვრას ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და მასთან გამკლავების პროცესში.
- ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ღონისძიებების კომპლექსური და სენსიტიური ხასიათი ართულებს მონიტორინგისა და შეფასების პროცესს.
- სხვა სფეროები უზრუნველყოფენ მოსაზრებებს და გაკვეთილებს, თუ როგორ შეიძლება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ღონისძიებების მონიტორინგსა და შეფასებასთან დაკავშირებით არსებული ბარიერების გადალახვა.
- ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასების ძალიან ბევრი რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდი არსებობს.